

საინფორმაციო ბიულეტენი

ივლისი, 2024



DRI საზოგადოებას 400 ლარიანი ზიანისთვის დაკავებული ახალგაზრდების მხარდაჭერისკენ მოუწოდებს!

DRI-ის საქმიანობა ივლისში

- ხელისუფლება, როგორც ანტიგენდერული მოძრაობის მთავარი აქტორი საქართველოში
- ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის კონტროლისთვის ყოფილი და ამჟამინდელი დე ფაქტო პრეზიდენტების კლანები იბრძვიან
- სოხუმში არ სურთ რუსეთის მოქალაქეებს უძრავი ქონების შეძენის უფლება ჰქონდეთ



15 ივლისს, DRI-მ ანგარიში „საპროტესტო აქციები დაკვირვების ქვეშ“ პრეზენტაცია გამართა. ანგარიში ასახავს 2023 წლიდან, "რუსული კანონის" საწინააღმდეგო დემონსტრაციების ჩათვლით, საპროტესტო აქციებზე დაკვირვების შედეგებს.

17 ივლისს, DRI-მ გურჯაანში გამართა შეხვედრა „საქართველო ირჩევს ევროპას.“ შეხვედრაზე მოწვეულმა სპიკერებმა ისაუბრეს ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის სტატუსის მინიჭების შემდგომ მოლაპარაკებების გახსნისთვის საჭირო 9 პრიორიტეტის შესრულების პროცესზე და იმ სარგებელზე, რასაც ევროკავშირში გაწევრიანება ითვალისწინებს.



11 და 31 ივლისს, DRI-მ დისკუსიები გამართა თემებზე: „ცხოვრება ენგურს მიღმა და ადამიანის უფლებები“ და „რა გავლენა ექნება საქართველოს ევროპულ ინტეგრაციას ოკუპირებულ რეგიონებზე? შესაძლო სცენარები“



DRI საჯარო პოლიტიკის ანალიტიკური ინსტიტუტია, რომლის მიზანია კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დაცვა, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული სახელმწიფო მმართველობის დამკვიდრება, კონფლიქტურ რეგიონებში ადამიანის უფლებების დაცვის, მხარეებს შორის ნდობის აღდგენის და ინტეგრაციის პოლიტიკის პოპულარიზაცია და სახელმწიფოს ევროპული ინტეგრაციის ხელშეწყობა.

DRI-ის სამართლებრივი დახმარება

DRI სამართლებრივ დახმარებას უწევს რუსული კანონის საპროტესტო აქციებზე დაკავებულ ომარ ოკრიბელაშვილსა და საბა მეფარიშვილს. ომარს და საბას ბრალად რკინის კონსტრუქციის დაზიანება ედებათ. 400 ლარიანი ზიანისთვის მათ 3-დან 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ. ორგანიზაციამ 400 ლარიანი ზიანი, რაზეც სასამართლო სხდომებზე ბრალდების მხარე მუდმივად აპელირებდა, უკვე აანაზღაურა. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი საზოგადოებას სთავაზობს, ახალგაზრდებს გვერდით პირადი თავდებობის გზით დაუდგეს.



გამოხატე მხარდაჭერა!

სოლიდარობა საპროტესტო აქციებზე დაკავებულ ომარ ოკრიბელაშვილსა და საბა მეფარიშვილს!

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი საზოგადოებას სთავაზობს, ახალგაზრდებს გვერდით პირადი თავდებობის გზით დაუდგეს.

ომარს და საბას ბრალად რკინის კონსტრუქციის დაზიანება ედებათ. 400 ლარიანი ზიანისთვის მათ 3-დან 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.

მხარდაჭერის სურვილის შემთხვევაში 30 ივლისამდე, 10:30-17:30 საათამდე, მობრძანდით მისამართებზე:
 ალექსანდრე ყაზბეგის 14 ბ, II სადარბაზო, მესამე სართული. ან
 13:00-23:00 საათამდე
 კაფე "პრაქტიკა", მელიქიშვილის 23